„პროლეტარელნო ყველნ ქვეყანისა, შეერთდით!“

კომუნისტი

მეოთხე ფელიეადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ტ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პრეს. № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრეს., 24
ტელეფონი 10—49
ბელისმოუერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ცალფრენით—25 კ. ა. | კვკ. გარეშე—40 კ. აწყობა ცალფრენით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. საგლეზიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ესპანეთის მეფე ზავს ფხიზს მაროკოს.
— ბრაზილიაში ისევ დაიწყო აჯანყება.
— ეგვიპტეში მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ ძლიერდება.
— ინდოეთში დიდი წყალდიდობა მოხდა.
— გავრში (საფრანგეთი) მუშაკურთა გაფიცვა გრძელდება.
— იტალიეს დეპუტატ ბატერეის გაგზავ.
— ბერძნეთში გაჩენილ ბუნტ-ბარეულ.
— გერმანიაში ორი კვირით დასურეს გაზ. „როტე ფანეი“

№ 187 (1042) სამშაბათი 19 აგვისტო 1924 წ. ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ფასი 4 კ. № 187 (1042)

დღეს, 19 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე
შესდგება
საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის
სხდომა
პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა
თბილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი**

საზალზე ჯანმრთელობის დაცვისთვის

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე ერთი მთავარი ამოცანათაგანია მუშურ-გლეხური ხელისუფლების. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოცხადებამდე საეკონომო დახმარების მიწოდება მშრომელთათვის სწარმოებდა სახელმწიფოს ხარჯზე და საკმაოდ ფართედაც იყო დაყენებული შესაძლებლობის ფარგლებში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის მემოღების შემდეგ კი შემცირდა რიცხვი როგორც საავადმყოფოების, ისე საექიმო პერსონალის; თითქმის შეწყდა არა მოსამსახურეებზე წამლების უფასოდ გაცემა და სხვა.

გლეხობა ბევრ ადგილებში ისევ მკითხავ-მარჩიელების და უვიც სოფლის აქიმბაშების ხელში დარჩა. ადგილობრივ აღმასკომებს არ ჰქონდათ საშვალება და გამოცდილება თვითონ აეღოთ თავის თავზე მშრომელი მოსახლეობისთვის საექიმო დახმარების ორგანიზაციის საქმე დ. ბევრ ადგილებში სულ უკანასკნელ დრომდე ამ მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობა შეიქმნა.

ქალაქებში ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო და არის. აქ ჯანმრთელობის კომისარიატთან ერთად მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის საქმისთვის დიდ საშუალებებს იღებდენ დამზღვევი ორგანოები. მშრომელი მოსახლეობა ქალაქებში ასე თუ ისე უზრუნველყოფილია საექიმო დახმარებით და სათანადო ჰიგიენური და სანიტარული პირობების დაცვით.

...გრამ დაბა-სოფლების მდგომარეობა ამ მხრივ მეტად უნუგეშო იყო უკანასკნელ დრომდე მაინც. ყოველი მგზავრი და მეთვალყურე სოფლის ცხოვრებისა აღნიშნავდა იმ ნაკლს ჩვენი ცხოვრებისას, რომელიც გამოიხატება საექიმო დახმარების მიწოდომლობაში გლეხობისთვის. მცირეა სტაციონალური საკურნალოების და ამბულატორიების რიცხვი, მცირეა საექიმო პერსონალის შტატი და ცოტაა აგრეთვე აფთიაქებიც. გლეხმა კიდეც რომ მიიღოს ექიმის რჩევა-დარიგება და რეცეპტი, წამალის ძებნა მას ხშირად 20—30 ვერსის მანძილზე უხდება და ზოგიერთ შემთხვევებში ამ სიმორეზე ვერ მოუღლობს მას.

მეფური და შემდეგ მენშევიკური მთავრობის დროს სასოფლო მედიცინა კიდეც უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო. იმ დროს საექიმო დახმარება მხოლოდ რჩეულთა და შეძლებულთათვის არსებობდა; სიბნელეში და უვიცობაში მყოფი მუშები და გლეხები კი უპატრონოდ იყვენ მიტოვებული და მათ ჯანმრთელობაზე ფიქრით ნაკლებათ თუ ფიქრობ იყოფებდა თავს.

საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, ამ წესებულებას ვერ გაიზიარებდა, მუშურ-გლეხურ მთავრობას პირველად ყოვლისა სწორედ ქალაქის და სოფლის მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე უნდა ეფიქრა. ის ასეც იქცეოდა, მაგრამ საშუალებათა სიმცირე ფრთებს კვეცდა მის განზრახვებს, აფერხებდა მის ნაყოფიერ მუშაობას, განსაკუთრებით სოფლებში.

მაგრამ ჩვენს ეკონომიურ მოღონიერებასთან პარალელურად უმჯობესდებოდა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეც. სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი დღეს გაცილებით უფრო ფართეა, ვიდრე ეს იყო მეფის ან მენშევიკების მთავრობების დროს. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ჩვენში სამკურნალო პერსონალი ძველ დროსთან შედარებით ოცჯერ გადიდდა, ხოლო სამკურნალო ქსელი ათჯერ გაფართოვდა.

ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა, მაგრამ სასურველ მდგომარეობიდან ჯერაც შორს ვართ. პროვინცია ამ მხრივ დღესაც ცენტრის დახმარების მოლოდინშია, განსაკუთრებით შორეული და ჩამორჩენილი კუთხეები. ზოგიერთ რაიონებში მუშაობენ მოძრავი სამკურნალო რაზმები და მოახლეობა კიდეც მადლიერია მათი მუშაობის, მაგრამ საჭიროა უფრო ხანგრძლივი და არა დროული თუ სეზონური ხასიათის მუშაობა.

არ კმარა მარტო ეპიდემიის დროს რაზმების გაგზავნა. „მკითხავ-მარჩიელები“ და უვიცი ექიმბაშები ამუდამად უნდა მოვაცილოთ ხალხობას, რომელსაც ყოველ გაჭირის დროს უნდა ჰქონდეს აშუალება რაციონალური საექიმო დახმარების სარგებლობის.

საქართველოს ზოგიერთ ადგილებში ვავრცელებულია მალარია, მასთან ერთად ყველაზე ბრძოლას ხელს უშლიდა ქინაქინის საკმაო რაოდენობის უქონლობა. ეს დაბრკოლება ამ ჟამად დაძლეულია და ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა მომავალში უფრო მეტ სესურველ შედეგებს მოგვცემს.

ომიანობის შემდეგ ჩვენში სხვა სოციალური ავადმყოფობანიც გავრცელდა, როგორც, მაგალითად, ვენერიული ავადმყოფობანი, ტუბერკულიოზი და სხვა. ეს ავადმყოფობანი ძველმა რეჟიმმა ცუდ მემკვიდრეობად დაგვიტოვა და მათ დასაძლევად საჭიროა საზოგადოებრივ ძალთა და სახელმწიფოს შეთანხმებული მუშაობა.

ერთი სიტყვით, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მეტად დიდი და საპასუხისმგებლო მუშაობა გვიძევს წინ, რისთვისაც საჭიროა სამკურნალო დაწესებულებათა და საექიმო პერსონალის გადიდება და მათი უზრუნველყოფა.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს **კიდეც** გამოუმუშავებია გეგმა რესპუბლიკაში სამკურნალო ქსელის გაფართოების შესახებ. ეს გეგმა სავსებით განხორციელებულ იქნება მომავალი წლისთვის. ამას წინად რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ დაინახა ჯანმრთელობის კომისარიატი საშუალებათა მიღების დროს პირველ რიგში დაეყენებია განათლების კომისარიატის შემდეგ.

აქედან ცხადათ სჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეს საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენი პარტია.

საბჭოთა მედიცინის დარგში მომუშავეებმა ენერგიულათ უნდა შეუწყონ ხელი საბჭოთა ხელისუფლების განზრახვებს და მუშაობას.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვა აუცილებელი პირობაა საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერი მუშაობისთვის. ამ ფრონტზე გამარჯვების მიღწევისთვის არ უნდა დავიშუროთ ჩვენი ძალები და საშუალებები.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

2. იზრდება თუ არა ხელფასის რეალური რაოდენობა

წინა წერილში*) მოყვანილი იყო საქართველოს უმთავრეს საწარმოო დარგების შრომის ხელფასის რაოდენობა. თუ ახლად არსებულ რეალურ ხელფასის საშუალო რაოდენობას შეადარებთ ომამდე არსებულ ხელფასს, ჩვენ დავინახავთ, რომ ეხლანდელი ხელფასი ოდრის ძველი ხელფასის 65—70 პროც.-ს. ცალ-ცალკე საწარმოო დარგებში კი შრომის ხელფასის რაოდენობა აღწევს ომამდე არსებულ ხელფასის რაოდენობას. ზოგიერთ საწარმოო დარგებში მან კიდეც გადააჭარბა ომამდე არსებულ ხელფასს. თუმცა უკანასკნელი მოვლენა იშვიათია, მაგრამ მაინც აღსანიშნავია.

გასულ 1921, 22 და 23 წლებთან ხელდარებით მიმდინარე წელში ხელფასის რეალური რაოდენობა დიდად ჩქარი გაზრდილი. თუ ავიღებთ შეჯარებითი ციფრებს საქართველოს ...ასაბჭოების დღიდან ამა წლის ივ...ისამდე,—დავინახავთ ხელფასის პროგრესიულ ზრდას. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ხელფასი 22 წლის ბოლოდან.

*) „კომუნისტი“ № 186.

შეუდარებელი განსხვავება არის ახლად არსებულ და მენშევიკების ხელისუფლების დროის ხელფასის რაოდენობაში. მენშევიკების ბატონობის დროს ხელფასის რეალური რაოდენობა ძლიერ მცირე იყო. მათი ბატონობის არც ერთი წელიწადი არ ყოფილა ისეთი, რომ შრომის ხელფასი ყოფილიყო ომამდე არსებულ ხელფასის 20—30 პროცენტი. თვით მენშევიკების შრომის მინისტრი—ერაძე მუშების მდგომარეობის შესახებ შრომის ხელფასის მხრივ თავის მოხსენებაში რკინის გზელთა ყრილობაზე აბობდა, რომ მუშა „მატერიალურმა დაძაბუნებამ იქნობამდე მიიყვანა, რომ აღარავითარი მზგავსება აღარ არსებობს და არავითარი შედარება არ შეიძლება წარსულსა და აწმყოს შორის“.

მენშევიკების დროს ხელფასის რეალური რაოდენობა დიდი სისწრაფით ეკანებოდა ძირს. მათივე სტატისტიკის ცნობებით, 1919 წლის აგვისტოდან 1921 წლის იანვრამდე ცხოვრება გაძვირებულა 3314 პროცენტით, სამუშაო ხელფასს ქართული ბონების ანგარიშით მომატებია მხოლოდ 1160 პროცენტი. მაშასადამე, ხელფასის რეალური რაოდენობა 1919 წლის აგვისტოდან 1921 წლის იანვრამდე დაცემულა სამჯერ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ადგილი აქვს საწინააღმდეგო მოვლენას. ხელფასის რეალური რაოდენობა არა თუ ეცემა, არამედ წლიდან წლამდე პროგრესიულად იზრდება. სულ ცოტა კიდევ და მუშების მატერიალური მდგომარეობა ისეთივე იქნება, როგორც ომამდე იყო. ცხადია, ომამდე არსებული ხელფასის რაოდენობა ჩვენთვის იდეალი არ არის და მის მიღწევით ხელფასის რაოდენობის ზრდა არ შეჩერდება. შემდეგი ზრდა დამოკიდებული იქნება ჩვენი მეურნეობის განვითარებაზე.

როგორც ვსთქვით, საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში შრომის ხელფასის რეალური რაოდენობის ზრდას პროგრესიული ხასიათი აქვს. მაგრამ სხვადასხვა საწარმოო დარგებში ეს ზრდა არ არის ერთნაირი. ზოგან ის უფრო ჩქარია და ზოგან ნელი. ამის და მიხედვით სხვადასხვა წარმოებებში ეხლა ხელფასი სხვადასხვა დონეზე სდგას. დაწვრილებით, თუ რომელ საწარმოო დარგში რა დონეზე სდგას შრომის ხელფასის რაოდენობა—ამაზე გვქონდა ლაპარაკი წინა წერილში. იქ მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ სხვა და სხვა საწარმოო დარგებში ხელფასის რაოდენობის განსხვავება საგრძნობელია.

ხელფასის ზრდის დახასიათების მხრივ ცალკე უნდა გამოყოფილი იქნას მიმდინარე 24 წელი. მიმდინარე წელში რეალური ხელფასის განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა ფულის რეფორმამ. ფულის რეფორმის გატარებით დროებით შეჩერებულ იქნა ხელფასის ნომინალის ზრდა. ზოგან კიდეც ადგილი ჰქონდა ნომინალის ძირს დაწევას, მაგრამ, რაც შეეხება რეალურ ხელფასს, ის არა თუ დაცემულა, არამედ საგრძნობლად გაიზარდა კიდეც, ფულის მყიდველობითი ძალის გაზრდით, საქონლის გაიაფებით და სხვა.

3. ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲬᲔᲕᲐ

ახლო მომავალში შრომის ხელფასის მხრივ დასახული უნდა იქნეს ამოცანათ ხელფასის არა საერთო გადიდება, არამედ ჩამორჩენილ საწარმოო დარგების წინ წაწევა. უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ ხელფასის რაოდენობის მხრივ ჩამორჩენილ ჯგუფებსა და ხელფასის მხრივ წინ წაწეულ ჯგუფებს შორის განსხვავება არ იქნეს საგრძნობელი. ეს შეიძლება ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გადიდებით და წინ წაწეულ ჯგუფების ხელფასის ზრდის დროებით შეჩერებით. დაუშვებელია მიღწეულ ხელფასის შეკვეცა, თუნდაც ის ადგილდა ძალრე ჯგუფების მიმართ. არსებულ ხელფასის შემოკლებით ძლიერ დაეცემა შრომის ნაყოფიერება. ამიტომ ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის დაახლოვება წინ წაწეულებთან უნდა ხდებოდეს არა ამ უკანასკნელების ხელფასის შემოკლებით, არამედ პირველების (ჩამორჩენილების) ხელფასის გაზრდით.

შემდეგში არ უნდა იქნეს დაშვებული ცალ-ცალკე ჯგუფების სხვებთან შედარებით ძლიერ წინ წაწევა. ხელფასის ზრდას უნდა ჰქონდეს საერთო ხასიათი.

რაც შეეხება ხელფასის საერთო ზრდას, მიმდინარე წლის პირობები ამისათვის ხელსაყრელი არ არის. სასოფლო მეურნეობაში მოუსავლიანობა ხელფასის საერთო ზრდას ხელს შეუშლის. ახლა ხელფასის შემდეგი გადიდება გაამყარებს ქალაქის წარმოების საკონელს და კიდეც უფრო ცუდ პირობებში ააყენებს მოუსავლიანობის გამო ცუდ მდგომარეობაში მყოფ გლეხებს.

შესაძლებელია რეალური ხელფასის გადიდება საქონლის გაიაფებით. ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე ხელფასის ნომინალის გაზრდა. საქონლის გაიაფებით შესაძლებელი იქნება არსებულ ხელფასისათვის მეტი მსყიდველობითი ძალის მიცემა. საქონლის გაიაფების საკითხი უკვე დასმულია უმაღლეს ორგანოებში და ახლო მომავალში გადაჭრილი იქნება დადებითად. პირველ რიგში გაიაფდება მუშების სახმარებელი საგნები.

შემდეგში, ცხადია, რომ შრომის ხელფასის ზრდის საკითხი დასმული უნდა იქნეს, მისი შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ შრომის ხელფასის ზრდის საკითხი დაკავშირებული უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. შემდეგ წერილში გავარჩევთ შრომის ხელფასის და შრომის ნაყოფიერების საკითხს.

ტ ო მ ე ლ ი.

ᲕᲠᲔᲡᲯ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში და შემდეგაც, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ბურჟუაზიული სპეციალისტები (როგორც საერთოდ მთელი ბურჟუაზიული ინტელიგენციაც), აშკარად მტრულ განწყობილებას იჩენდენ მუშათა კლასის და მისი უფლებებისადმი. სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები, რომელიც წინედ ერთგულად ემსახურებოდნენ კაპიტალისტებს, უარს აცხადებდენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, პირდაპირი ბრძოლით—თუ საბოტაჟის გზით ყოველნაირად გვიშლიდნენ ხელს აღმშენებლობითი მუშაობაში.

უნდა ითქვას, რომ მათმა ასეთ დამოკიდებულებამ საგრძნობი ზიანი მიაყენა შრომელთა დიქტატურის განტვიცების საქმეს, შეანელა ტემპი ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღორძინებისა.

მუშათა კლასი იძულებული გახდა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინა იმ სპეციალისათვის, რომელნიც თავიანთ კოდნას და გამოცდილებას მის საწინააღმდეგოდ მიმართავდნენ.

ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ინტელიგენცია ნებაყოფლობითი ჯაჭვა მუშაობაში, მისოვის გასაგები და მისაღები გაეხადა მუშათა კლასის მიზნები.

პარტია ცდილობდა შეექმნა სპეციალისათვის ამნანაგური თანამშრომლობის ატმოსფერა და ჩაეყენებინა ისინი არსებობის და მუშაობის რიგიან პირობებში.

ახალი რეჟიმის განმტკიცებამ, ქვეყნის სამეურნეო აღორძინებამ, რამაც საშუალება მოგვცა, შედარებით გაგვეუმჯობესებინა სპეციალის ნივთიერი მდგომარეობა, თვით ჩვენმა კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ მათდამი,—ყველაფერი ამან ორმა გარდატეხა მოახდინა სპეციალისე და მათ პირი აბრუნეზინა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

ამხ. **ვ. მილიუტინი** „პრავდა“-ში (№ 180) იხილავს საკითხს „საბჭოთა სპეციალისტის შესახებ“ და სწერს:

„ეხლა ჩვენ საკუთარ დარწმუნებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენი საბჭოთა სპეციალისტის შესახებ. საბჭოთა სინამდვილემ გადაამოწმა ბურჟუაზიული სპეციალის მნიშვნელოვანი მასის პსიხიკა და გადააქცია ისინი საბჭოთა სპეციალისტებად“.

საქმიანი ინტელიგენციის ასეთი გარდატეხის დამამტკიცებელი ფაქტები მრავალია. მასწავლებლობის დიდი უმრავლესობა დადგა საბჭოთა პლატფორმაზე და მან გაიზიარა ჩვენი პარტიის პოლიტიკა. ამის დემონსტრაცია ჩვენ დავინახეთ XIII ყრილობის დროს. აგრონომებსა. ექიმებსა და სხვა დარგის სპეციალისტებშორის აგრედვე ვამჩნევთ ფრიად საგრძნობ გადახრას საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. საბჭოთა ჯგუფები გაჩნდნენ აგრედვე სპეციალისტების უმაღლეს წარმომადგენლებში, მეცნიერებ შორის.

კვალიფიკაციონურ ინტელიგენციის ასეთ გარდატეხას აქვს უაღრესი მნიშვნელობა საბჭოთა აღმშენებლობისათვის, და ეს პროცესი უნდა გაეღრმავოთ.

„ეხლა სამეურნეო მხრივ ჩვენ დავიწყეთ ზრდა. ვითარდება ჩვენი მრეწველობა, ვაჭრობა, ისმენიან ახალი სამეურნეო პრობლემები, მაშასადამე, როლი სპეციალისტის, როლი ინჟინერის, აგრონომის, ტეხნიკოსის, მასწავლებლის იზრდება ამასთან შეფარდებით.

ჩვენ არ შეგვიძლია სპეციალისტების გარეშე განვამტკიცოთ და განვავითაროთ ჩვენი სამეურნეო მოღონეები“.

შეიძლება ვინმემ წამოაყენოს კითხვა სპეციალისტების ძველი კადრის მეცველის შესახებ ჩვენი ახალი წითელი სპეციალისტებით. საკითხის ასე დასმა შეცდომა იქნებოდა. წითელი სპეციები ჯერ ძალიან ცოტა გვყავს ცხადია მათი საკმაო კადრის შესაქმნელად უნდა მივიღოთ სათანადო ზომები. მაგრამ ეს მოკლე დროში არ მოხერხდება.

„ჩვენი წითელი სპეციალისტები მხოლოდ ეხლა გამოდიან სამოქმედოდ, მათი მხოლოდ პირველი რიგები იწყებენ მუშაობას. მათ ჯერ კიდევ უნდა შეიძინონ ძველი სპეციალისტების კადრებისაგან უკანასკნელთა ცოდნა და გამოცდილება... შედარებით კიდევ კარგა ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა დავეყაროთ, უმთავრესად, საბჭოთა სპეციალისტების ჩვენ ძველ კადრებს და უნდა გამოვიჩინოთ უნარი მათი სავსებით გამოყენებისა“.

ამიტომ საჭიროა პარტიის მიერ სპეციალისტების მიმართ აღებულ კურსის დაცვა და უფრო განმტკიცება:

„შემდეგში უფრო ფართედ და აქტიურად უნდა ჩავაბათ საბჭოთა სპეციალისტები აღმშენებლობაში, შეუმჭნათ მათ მატერიალურ და მეცნიერულ ხასიათის ის პირობები, რომელნიც შესაძლებელს გახდიან მათი ცოდნის და ძალების სავსებით გამოყენებას“.

მხოლოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჩვენს დაწესებულებებში, კერძოდ ადმიურნეო ორგანოებში სპეციალის ...ით ბლომად არიან შეპარული საეჭვო და შემთხვევითი ელემენტები; ამასთან სპეციის ცხაბას ძალიან ფაროე განმარტებას აძლევენ ჩვენში,—არა იშვიათად ასეთებად ნათლავენ უბრალო კვალიფიკაციის პირებს.

ჩვენ სასტიკად უნდა განვსაზღვროთ ნამდვილი სპეციები მოჩვენებითი სპეციებისაგან.

სპეციებ შორის აგრედვე ეხლაც არიან დარჩენილი საბჭოთა ხელისუფლების მტრები, რომელთა წინააღმდეგ, ჩვენ, რათქმა უნდა, უნდა ეაწარმოოთ გადაჭრილი ბრძოლა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲡᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ ᲠᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲚᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

საფრანგეთის ჯარები დასცლიან დაპყრობილი ოლქების ზოგ რაიონებს

საბოლოოთ შეთანხმება ხელმოწერილი იქნება აგვისტოს დამლევს.

გერმანიის მთავრობის სხდომა

ბერლინი. 16 აგვისტო. 14 აგვისტოს გაიმართა გერმანიის კაბინეტის სხდომა ებერტის თავმჯდომარეობით. სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ **გერმანიის მთავრობა სავსებით იზიარებს გერმანიის დელეგაციის თვალსაზრისს ლონდონის კონფერენციაზე რურის საკითხედრო ევაკუაციის ერთი წლის ვადის შეფუდებლობის შესახებ.** მთავრობა მოითხოვს აგრეთვე სავსებით შეცვლილი იქნეს ოკუპაციის მეთოდები გარდამავალ დროისათვის.

მთავრობის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მდგომარეობა ლონდონის კონფერენციაზე მეტად სერიოზულია, მაგრამ უიმედო არ არის. გერმანიის პრესის საერთო აზრით, ერრიოს პოზიციის შეცვლა გამოიწვია მასზე ლუშერის გავლენამ, ამიტომ გერმანიის პრესა კონფერენციის ჩაშლის შემთხვევაში პასუხისმგებლობას აკისრებს საფრანგეთის დელეგაციას. შტრეზემანის ორგანო „ცეიტ“-ის თვით ლონდონელი კორესპონდენტიც კი, რომლის ოპტიმიზმს მუდამ დაცინვით აკრიტიკებდა მემარჯვენე პრესა, დღეს უიმედო კილოთი აფასებს ლონდონის კონფერენციის მდგომარეობას.

გერმანია „თანახმაა“

ბერლინი. 16 აგვისტო. შინაგან საქმეთა მინისტრმა იარისმა ითათბირა ყველა პარტიების (ნაციონალისტებიდან დაწყებული სოციალ-დემოკრატებამდე) ფრაქციების ლიდერებთან, თათბირების შედეგები არაა გაშუქეყნებული. აქაური პოლიტიკურ წრეებში „ფიქრობენ, **რომ გერმანია ირ ატყვის უარს ერრიოს წინადადებაზე და შეეცდება მიაღწიოს საკომპრომისო გადაწყვეტილებას. ფიქრობენ, რომ გერმანიის დელეგაცია ხელს მოაწერს ოქმს ევაკუაციის ერთი წლის ვადის შესახებ, თუ საფრანგეთი დასთანხმდება ევაკუაციის მეთოდების შეცვლაზე.** მოსალოდნელია, რომ გერმანიის დელეგაციის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, თუ ერიო დასთანხმდება მოწინავე პუნქტების ევაკუაციაზე, როგორიც არის მაგ. ქალაქები: მანჰეიმი, ოფფენბურგი და სხვ.

გერმანიის პოლიტიკურ პარტიების პოზიცია ევაკუაციის საკითხში გამოურკვეველია. თუ პრუსიის კომენტარიებს დაუჯერებთ, ნაციონალისტები არ მისცემენ ხმას იმ კანონპროექტებს, რომელიც დაკავშირებულია დოუესის ვეგმის შესრულებასთან თუ შტრეზემანმა მიიღო ერრიოს წინადადება.

მოკავშირეთა „ერთიანი“ ფრონტი

მხარს უჭერენ ერრიოს

პარიზი 16 აგვისტო. ჰავასის საგენტო იტყობინება, რომ გერმანიის დელეგატებთან საუბრის დროს ერრიომ გამოთქვა ეჭვი, რომ საფრანგეთი მზად არის გაიყვანოს ჯარები რურიდან ერთი წლის შემდეგ ოქმზე ხელის მოწერის დღიდან. ერრიომ **აღნიშნა, რომ ის შეამცირებს ამ ვადას, თუ გერმანია დაამტკიცებს კეთილსინდისიერ სურვილს შეასრულოს თავისი ვალდებულებები.** ერრიომ ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ ინგლისის პრემიერი, როგორც თავმჯდომარე, გენერალური მდივანი მორის ხენკი, მოკავშირეთა მდივნები, გერმანიის მდივანი და სარეპარაციო კომისიის წარმომადგენელი. ამერიკის დელეგაციის მდივანი ოქმს ხელს არ მოაწერს. შემდეგ, როგორც იუწყებიან, კონფერენციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დოუესის გეგმა მიღებულად ითვლებაო. სახელმწიფოების წარმომადგენლების მიერ წაკითხულ ოქმების მოწონების შემდეგ, კონფერენციის თავმჯდომარემ კონფერენციის მუშაობა დასრულებულად გამოაცხადა.

„შეთ ნხმება“ ხელმოწერილია

ლონდონი. 17 აგვისტო. **კონფერენციის უკანასკნელი სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზე, და დასრულდა 8 საათის შემდეგ ოქმების ხელის მოწერით. საბოლოო სტატეები წარმოსთქვეს ყველა პრემიერებმა. სხვათა შორის მარქსმაც, რომელმაც თოქმის ერთი საათი ილაპარაკა.**

ოქმზე ხელის მოწერის შესახებ.

ლონდონი. 16 აგვისტო. რეიტერის ცნობით, მოკავშირეთა კონფერენციის უკანასკნელი სხდომა, **რომელზედაც ხელს მოაწერენ შეთანხმებას, შესდგება საღამოს.** გერმანიის დელეგატები გაემგზავრებიან, ალბად, ავალ დილით.

ფიქრობენ, რომ ხუთშაბათს მოწვეული იქნება რეიხსტაგი.

შეთანხმება რურის შესახებ

ლონდონი. 16 აგვისტო. როგორც იუწყებიან, საფრანგეთ-ბელგიის და გერმანიის შორის მიღწეული იქნა უმთავარ შეთანხმება იმ წერილის ტექსტის შესახებ, რომელსაც ერთმანეთს გაუგზავნიან სამივე დელეგაციის მეთაურები.

ეს წერილები საბოლოოდ მოაწესრიგებენ პირობებს, რომლებშიაც მოხდება რურის ევაკუაცია.

ბერლინი. 16 აგვისტო. გუშინდელი თათბირი რურის შესახებ დიდხანს გაგრძელდა და დამთავრდა პრინციპიალური შეთანხმებით. დღეს თათბირი გრძელდებოდა გერმანიის და საფრანგეთის შტაბის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელთაც განიხილეს სამხედრო ევაკუაციის ტეხნიკური საკითხები.

ერრიოს სიტყვა

კონფერენციის დახურვის დროს

ერრიო ქმაყოფილია

პარიზი. 18 აგვისტო. კონფერენციის დახურვის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ერრიომ განაცხადა, რომ საფრანგეთი სიამოვნებით ითანამშრომლებს მშვიდობიანობის აღდგენის საქმეში, რასაც საძირკველი ჩაუყარა ლონდონის კონფერენციამ. ერრიო მოსარულია, რომ ამ საქმეს ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გერმანიის, საფრანგეთის და ბელგიის დელეგატებს შორის გადაწყდა, რომ 24 საათის შემდეგ საბოლოო ოქმზე ხელის მოწერიდან, რომელიც მოხდება 30 ან 31 აგვისტოს, **საფრანგეთ-ბელგიის ჯარები დასცლიან ქალაქ დორტმუნდს და სხვა ოლქებს,** რომლებიც დაკავებული იქნა რურში დაწყებულ ოპერაციების პერიოდში, გარდა თვით რურის ბესეინისა, რომელიც დაცლილი იქნება მომავალი წლის აგვისტოში. საგენტო იტყობინება, რომ შეთანხმება მოკავშირეებსა და გერმანიას შორის წინასწარ ხელმოწერილია ინიციალებით.

ᲛᲐᲙᲓᲝᲜᲐᲚᲓᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ლონდონი, 18 აგვისტო. კონფერენციის საერთო ყურადღება მიიპყრო მაკდონალდის სიტყვამ.

კანცლერმა მარქსმა დაახასიათა ეს სიტყვა, როგორც „ისეთი აზრებით სავსე, რომლებიც შეეა ევროპის მატიანეში“.

„ჩვენ, სთქვა მაკდონალდმა, დავსდეთ ისეთი შეთანხმება, რომელიც განხილული უნდა იქნეს, როგორც პირველი სამშვიდობო ხელშეკრულება ომის შემდეგ. ჩვენ ხელი მოვაწერეთ ამ შეთანხმებას იმის შეგნებით, რომ ომიანობის საშინელი წლები უკან დავტოვეთ. ყველა აქ წარმოდგენილი ქვეყნები მორალურად ვალდებული არიან გაატარონ ცხოვრებაში ეს შეთანხმება, ვინაიდან ის არის არა ულტიმატიური მოთხოვნილებების, არამედ შეთანხმებულად განხილვის შედეგი.

ჩვენ ვეცადეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დაგვეთმო ერთი მეორისათვის მშვიდობიანობის საერთო მიზნებისათვის. და ეხლა ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენი მშვიდობიანობის და სამეურნეო აღორძინების საქმე თანდათან გავატაროთ ცხოვრებაში.

დღის წესრიგში სდგას ეხლა საკითხები ვალების (ამ საკითხის გადაჭრა ჩვენ მოგვიხდება ინგლის-საფრანგეთის მემორანდუმთან შეთანხმებით), განიარაღების და ნაციონალური მშვიდობიანობის შესახებ, აგრეთვე საკითხები ერთა ლიგის შემადგენლობის და ავტორიტეტის, საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ არც ერთი ამ საკითხთაგანი არ შეიძლება გადაიჭრეს იმის გარეშე, თუ ერთმა სახელმწიფომ არ დაუთმო მეორეს. ყველა ეს საკითხები მოითხოვენ შეთანხმების დადებას იმ ნაციებს შორის, რომელთა წარმომადგენელთ აქვთ თანაბარი უფლებები და თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ თუ უარჰყონ ესა თუ ის წინადადებები“.

მაკდონალდი არ ფარავს იმას, რომ საკითხები, რომლებთანაც საქმე ექნებათ მოკავშირე სახელმწიფოებს, წარმოადგენენ საფრთხეების ახალ ჯგუფს მშვიდობიანობის საქმისათვის.

„რაც შეეხება იმ ეკონომიური ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დასმულია მოკავშირეების წინაშე, განგრძობს მაკდონალდი, აქ საჭირო იქნება პოლიტიკური ზეგავლენის გამოყენება. აქ საჭირო ი

უკანასკნელი ცნობები

ლონდონის კონფერენციის დამთავრების შემდეგ.

ნაწილობრივი ევაკუაცია დაიწყო.

პარიზი, 18 აგვისტო. ქალაქები ოფენბურგი და აპენვეილერი, რომლებიც საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს 1923 წ. თებერვალში იმის გამო, რომ გერმანიის რკინის გზების ადმინისტრაციამ უარი სთქვა მატერიების გაშვებაზე პარიზი—ვარშავა—პრაგას ხაზით, დღეს განთავისუფლებული იქნება საფრანგეთის ჯარებისგან.

პრესა კონფერენციის შედეგების შესახებ.

ბერლინი, 18 აგვისტო. ლონდონის პრესა საერთოდ კმაყოფილია კონფერენციის შედეგებით.

გაზ. „ტაიმს“-ის აზრით, კონფერენციამ აღადგინა „ჰარმონია“ მოკავშირეებს შორის და შექმნა გერმანიისთვის მეგობრული მოლაპარაკების ატმოსფერა. გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ კონფერენციაზე არ მიხდა შეთანხმება რურის დაუყოვნებლივ დაცლის შესახებ.

ლოიდ-ჯორჯის ორგანო „დეილი ქრონიკლ“ კიცხავს მაკდონალდის ბისუსტეტ რურის ევაკუაციის საკითხში.

„ფენსტმინსტერ გაზეტა“ თვლის, რომ მაკდონალდმა ზიანი მიაყენა ინგლისის პრესტიჟს.

პუანკარეს გასაგებად.

ბერლინი, 18 აგვისტო. ჟურნალისტებთან საუბარის დროს ერიოომ განაცხადა, რომ ლონდონის შეთანხმების წინააღმდეგ გაილაშქრენ ყველა ამათ, ვისი პროვოკაციული პოლიტიკა ახალი ომით ემუქრებოდა საფრანგეთს. კონფერენციის შედეგები ქმნიან ახალ ხანას, მაგრამ ნაყოფს ამოიღებენ მხოლოდ მაშინ, თუ ამ შედეგებს დაიცავენ იმათგან, ვინც ახალ ომზე ოცნებობს.

რეაქცია გერმანიაში.

ჰიტლერის მოუხრეთა მანიფესტაცია.

პარიზი, 18 აგვისტო. ვეიმარში ნაციონალ-სოციალისტების ყრილობის დამთავრების გამო გაიმართა ჰიტლერის მომხრეთა მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. მანიფესტანტებმა გაიარეს ფენ. ლიუდენდორფის წინ.

ლიუდენდორფმა მოითხოვა ჰიტლერის განთავისუფლება.

დელეგაციების გამგზავრება.

კარიზი. 19 აგვისტო. გერმანიის დელეგაცია მიემგზავრება ლონდონიდან დღეს დილით. ხვალ პარიზში მიემგზავრება საფრანგეთის დელეგაცია.

ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანიის პარტიების ლიდერები 20 აგვისტოს აირჩევენ რეიხსტაგის მოწვევის დღეთ.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა შეუდგება სამშაბათს.

დეპუტატთა პალატა მოწვეული იქნება მომავალ ხუთშაბათს.

ჩვენ და უცხოეთი

იაპონია კონცესიებს ითხოვს სახალინზე

საბჭოთა რუსეთიდან მოსაფილეობას მიიღებენ კელნის გაზრობაზე.

იაპონია

დროის მოსაგებად.

პეკინი. 16 აგვისტო. იაპონიის მთავრობა ადგენს ახალ ინსტრუქციებს იოშიზავასათვის, თუმცაღა კვლავ აცხადებს, რომ არ აქვს განზრახული რაიმე ცვლილებები შეტანოს თავის წინადადებებში და თავის მხრით წარუდგენს კონტრ-წინადადებას საბჭოთა კავშირის მთავრობას ისე, რომ საშუალება მიეცეს იაპონიას გადაათვალიეროს თავისი მოთხოვნილებები. პარტია სეიუკაის გაზეთი „ციუდაოსიმბუნ“ ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირმა შესცალა თავისი პოზიცია იაპონიის მიმართ ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების გამო; გაზეთი პესიმისტურად უცქერის პერსპექტივებს.

იაპონია მოითხოვს კონცესიებს.

პეკინი. 16 აგვისტო. იაპონიის რწმენებულმა იოშიზავამ სთხოვა ამბ. კარახანს დანიშნოს კონფერენციის სხდომა 18 აგვისტოს. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებით, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა მოითხოვოს კონცესიები ჩრდილოეთ სახალინზე.

გერმანია

საბჭოთა კავშირი კელნის გაზრობაზე.

ბერლინი. 16 აგვისტო. საბჭოთა საელჩო დელეგაცია ბერლინში ოფიციალურად აცხადებს, რომ **საბჭოთა რესპუბლიკები მონაწილეობას მიიღებენ კელნის გაზრობაზე და გაგზავნიან საექსპერტო საქონელს.**

ინგლისთან შეთანხმების შემდეგ

რაგორ აფასებენ შეთანხმებას

ამერიკელები ხელშეკრულების შესახებ.

ნიუ-იორკი. 16 აგვისტო. „ჯორნალ ოფ კომერსი“ ამტკიცებს, რომ **ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება უფრო ხელსაყრელია საბჭოთა კავშირისათვის**, ვინემ ინგლისისათვის. ეხება რა საკითხს სესხის შესახებ, გაზეთი სწერს, რომ ხელშეკრულების ამ მუხლის დაკვირვებით განხილვა ნათელს ხდის იმას, რომ **რუსეთი გამარჯვებული გამოვიდან საზარბაღი გამოცდიდან, მან მოიპოვეს ზოგიერთი მთავარი სავაჭრო პრივილეგიები და წავიდან რაც შეიძლება წაკლებ დათმობაზე.** უკეთებს რა ჯამს ხელშეკრულების პირობებს, წერილი ხაზს უსვამს იმ მუხლის მნიშვნელობას, რომელიც აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებას ძალა არა აქვს სესხის გარანტიების მიღებამდე.

არ მოეწონათ.

ვარშავა, 16 აგვისტო. პოლონეთის პრესა აცხადებს, რომ რაკოვსკის დეკლარაცია აღმოსავლეთ-გალიციის საკითხის შესახებ წარმოადგენს პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. „აკრიერ პორანი“ პროვოკაციას უწოდებს ამ. რაკოვსკის განცხადებას.

ახალშეთანხმები და ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება.

ლონდონი, 16 აგვისტო. ავსტრალიის პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ და ავსტრალიის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ ჩარლზ მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არ ვრცელდება ახალშენებზე მაგრამ შესაძლებელია, რომ ახალშენებმა საკუთარი ხელშეკრულებები დასდონ, კანადის მაგალითის მიხედვით.

რა ხდება გერმანიაში

დახურეს კომპარტიის მთელი რიგი ორგანოები

პრეზიდენტ ნიდერს კომუნისტების დევნისათვის ადმატება მისცეს

ოქტომბრის აჯანყებაში მონაწილეობისათვის — 8 წ. ციხე.

კომუნისტური პრესის დევნა

ბერლინი, 16 აგვისტო. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა იარრესმა დახურა 3 კვირით კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე“ მოწოდების გამოქვეყნებისათვის: „ძირს კონსტიტუცია“, „გაუმარჯოს რევოლიუციას“; კომპარტია მოუწოდებდა მუშებს გაემართათ დემონსტრაცია 11 აგვისტოს კონსტიტუციის წლის თავის გამო.

საქსონიის მთავრობამ დახურა კომპარტიის ხემნიცის, დრეზდენის და ლეიპციგის ორგანოები საიმპერიო კონსტიტუციის შეურაცხყოფისათვის.

საოკუპაციო ხელისუფლებამ დახურა კომპარტიის აახენის, კრეფელდის, მეკლენბურგის და დუსბურგის ორგანოები 6 თვის ვადით მიზეზების დაუსახელებლად.

ჯილდო მუშებს დევნისათვის

ბერლინი. 16 აგვისტო. გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა დანიშნა ლეიპციგის საიმპერიო სასამართლოს კიცე-თავმჯდომარე ნიდერი საიმპერიო სასამართლოს თავმჯდომარეთ. **ნიდერი ცნობილია, როგორც კომუნისტებს მოსასწრე მტერი**, რომელიც არა ერთხელ თავს დასხმია კომპარტიას სასამართლოში თავმჯდომარეობის დროს. კომუნისტების კენჭისყრის პროცესის დროს მან უწოდა „როტე ფანეს“ ჩვარი; ამას წინად ლეიპციგის პროცესზე მან განაცხადა, რომ მისთვის სამწუხაროა ის, რომ რეიხსვერის ჯარისკაცები, როდესაც ბრალი ედებოდათ, არ იქნენ დახვრეტილი ჯერ კიდევ შარშან. პურუუზიელ პრესის განმარტებით, ნიდერის დანიშვნა წარმოადგენს ებერტის პასუხს კომუნისტებისადმი, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ ნიდერის წინააღმდეგ.

კლასობრივი მართლმსაჯულება

ბერლინი. 16 აგვისტო. ლეიპციგის საიმპერიო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი იმ კომუნისტების შესახებ, რომელთაც ბრალად ედებოდათ ოქტომბრის ამბების დროს ჰოტსდამის რეიხსვერის ჯარისკაცებისაკენ იარაღის შეძენა. **8 მუშა-კომუნისტს და 3 უპარტიო მუშას მიუსაჯეს 7 წლის ციხე, რეიხსვერის 4 ჯარის-კაცს მიუსაჯეს 6 წლის დაპატიმრება**, სხვა ბრალდებულებს მიუსაჯეს დაპატიმრება უფრო ხანმოკლე ვადით.

მემარცხენე ბურჟუაზიული პრესა დაკმაყოფილებულია განაჩენის სიმკაცრით, ვინაიდან მას ეშინია, რომ კომუნისტური იდეები რეიხსვერში შეიჭრება. მაგრამ ამავე დროს მემარცხენე პრესა ხაზს უსვამს უსამართლობას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უკიდურეს მემარცხენეს მიმდინარეობისადმი გამოაქვთ მკაცრი განაჩენები მაშინ, როდესაც ჰიტლერის მომხრეები არა თუ დაუსჯელად იყიდუ ლობდენ იარაღს, არამედ მიუნხენის სამხედრო სკოლა აქეზებდენ მონაწილეობა მიეღოთ აჯანყებაში.

„ბერლინერ ტაგებლატი“ გამოსთქვამს შიშს, რომ ასეთი ულოღიკობა დასცემს სამოსამართლო დაწესებულებათა ავტორიტეტს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შეეგიდენ ბევრი ისეთი ცნობილი სოციალ-დემოკრატები, როგორც გეინე და სხვები.

კომუნისტ-რედაქტორის პროცესი

ინგლისის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს დეკლარაციები

ლონდონი, 16 აგვისტო. „მორნინგ პოსტ“-ი ეხება პროკურორის **ერ უარის თქმას ინგლისის კომუნისტური გაზეთის რედაქტორის** ეგბ-ბელის **ბრალდებაზე**, ამაში ხელდასმულ ბოლშევიზმისათვის მთავრობის დაორჩილების“ ახალ სასუთს.

თითქმის ყველა გაზეთებს მოჰყავთ ინგლისის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება რომელშიაც ნათქამია: „ინგლისის კომპარტიის პოლიტბიუროა ენობებს ყველას, რომ ეგბ-ბელს სრულებითაც არ მოუნდომებია საქმის ასე დამთავრება, მიღებული იყო წინასწარი ზომები იმისათვის, რომ გადადებულიყო პროცესი სასამართლოში მოუმის სახით მაკონაღლის გამოსაწვევად. ეგბ-ბელს ამ მის ამხანაგებს განხრახული ჰქონათ გამოეწვიათ პროფესიონალური ექიმობის ცნობილი მოუვაწეები, ბრომლეი, კრემპი და ბენტლეტ, რომელიც ეხმრობიან ამტერდამის ინტერნაციონალს. მუშათა პარტიის ა პროფესიონალობის ყველა ეს მოღვაწეები შეუერთდენ რეზოლიუციებს სამრეწველო კონფლიქტების დროს ჯარების გამოყენების წინააღმდეგ. ბრძოლას ომის წინააღმდეგ ყოველ ვე საუბლებით.

ამ რიგად, უარის თქმა ეგბ-ბელი ბრალდებულობაზე სავსებით აიხსნებ მუშათა მთავრობის მიერ თავის პასუხისმგებლობის შეგნებით და პალატაში ისეთი ცნობილი მუშა მოღვაწეების განცხადებით, როგორიც არის ლანსბერი, რომელმაც ნებაყოფლობით მოისურვა მოწმედ გამოსვლა ეგბ-ბელის, მეკსტონ პერსლის და სხვა ამხანაგების სასარგებლოდ. კომპარტია აცხადებს, რომ **პროკურორის მიერ უარს თ ბრალდებაზე—მუშების გამარჯვებაა**; ამასთან ერთად ეს გამოიწვევ აღმფოთებას მუშათა მოძრაობის რ აქციონურ ელემენტებში. ამიტომ ყველა ვინც მხარს უჭერს ჩვენს პოზიციას ომის და სამრეწველო. კოალიტებში სამხედრო ძალების ჩ ვევის საკითხებში, მზად უნდა იყენენ მუდამ აქტიურ გამოსვლისათვი მოსალოდნელი შემოტევის წინააღმდეგ.

შავების ბანგაში

ლონდონი. 16 აგვისტო. „დეილი ეილი“ სწერს: „ეჭვეულისათვის ახალი გაკვეთილია ჯარის თქმა ბრალდებაზე იმ კომუნისტის მიმართ, რომელიც მოუწოდებდა აჯანყებისაკენ. ეიძლება შემდეგში პრემიერი ქედს მოიხრის ეგბ-ბელს წინაშეაც.

„ვესტმინსტერ გაზეთ“ „დეილი ტელეგრაფ“, „ტაიმს“ და „დეილი კრონიკლ“ მთელს წერილებს უძღვნიან კომპარტიის საქმეს და პოლიტბიუროს დეკლარაციას ა მოითხოვენ საქმე მიეცეს პარლამენტამდე.

პოლიტბიუროს დეკლარაციის გ მო, „დეილ მეილ“ სწერს: „თუ (მართალია, საზოგადოებრივმა აზრ ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რო მთავრობას შეეშინდა კომუნისტურ ლოზუნგების და ჩაერია სახალხოთ ლოს საქმეებში“.

„დეილი კრონიკლი“ იტყობინებ, რომ კომპარტიის საქმის გამო მოწვეულ იქნა მთავრობის საგანგებო სხდომ, რომელზედაც გადაწყდა წინადადებ მიეცეს პროკურორს უარი სთქვა ბრალდებაზე.

გულგარეთის ამბები

ცანკოვის მთავრობა ახალ ხოცვა-ჟლეტას ამზადებს

გულგარეთის კომპარტიის მოწოდება

ბერძენები გაჯრიან გულგარეთიდან

ევროპელების მომხრეები შტრეიკბრეხერების რიცხვში

ვენა 16 აგვისტო. სოფიის მუშათა გაზეთი „ოტხოდ“ იტყობინება, რომ **ბულგარეთის მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს მთელს სახელმწიფოში საალეო წესები თუ ქვეყანა არ დამშვიდდება.** სამხედრო მინისტრს ვოლკოვს, იუსტიციის მინისტრს მაჯარო

...ბარტიული ცხოვრება

...ახმეტის რაიონი (თელავის მაზრა)

...ულავშირის მუშაობას ახმეტის ...ში, თუ შეიძლება ასე ითქვას ...ი უკან დაუხვევია: ამას მოწ...ებრალო სტატისტიკა. ახმეტის ...ანკისის რაიონები თიანეთის ...ს ორგანიზაციის შემდეგ გაერ...და ერთ ახმეტის რაიონად — თე...ის მაზრაში. ამ ორ რაიონში იყო ...ულად 12 უჯრედამდე — წევრთა ...ი 120 მეტი იყო. დღევანდელი ...ით ამ ორ გაერთიანებულ ...ში არის მხოლოდ 4 უჯრედი, ...ა რიცხვი უდრის მხოლოდ 47, ...ა. როგორც წევრთა რიცხვი, ისე ...ების შემცირებულია ნახევარ...ეტთან; არც ერთი ქალი არ მო...ა ორგანიზაციაში. ეს სამუშაო...ა მოულონია. თვით ახმეტის უჯ...ი ირიცხება მხოლოდ 12 კა...ი — სადღა არის გლეხური ახალ...ერობა? სჩანს, რომ მათ შორის ...ობა უფარმოებიათ ძლიერ სუ...ი.

...ეტაში შემდგარა ქალთა წრე 40 ...ი პოლიტ-მეცადინეობის მიზ...ით 1—2 სხდომის შემდეგ იგი და...ა. წარსულ კვირას კომუჯრე...ა კომკავშირის უჯრედის ხელ...ბელობით კვლავ იქნა მოწვეუ...ი ...ალგაზრდა ლენინელთა მუშაობა გარე-კახეთის რაიონში ივნის-ივლისში

...ირე-კახეთის რაიონში არსებობს ...ჯრედი 138 წევრით და 28 ...ედატით. რაიონი გაყოფილია ...ნაწილად:

...ირეჯო, სართიჭალა და მარტ...ამეტ უჯრედთა რიცხვი ორი ...ანსპორტა, დანარჩენი კი გლე...ი.

...15 ივლისს რაიკომის მიერ იქნა ...ული რაიონული კრება, სადაც ...ბაგები გაეცვნენ სრულიად სა...ველოს მე-7-დე ყრილობის და ...ტ-კავკასიის მე-3-მე ყრილობის ...ენილებებს.

...ანაკოდ ჩამოსულ ჯართან ერ...ხდება კომკავშირის გაერთიანე...ი კრებები.

...ულებო მუშაობა დამაკმაყოფი...ლოთ მიმდინარეობს; კვირაში ერ...ი იმართება ამხ. გლეხებისათვის ...ი წარმოდგენები.

...ებში გახსნილია ეკლესიებში. ...ის ნაწილებიც ხშირად მართავენ ...ოდგენებს სოფლებში.

...ებების მოწვევას ხელს უშლიდა ...ერის სამუშაერები, მაგრამ მიუ...ოთ ამისა მორიგი კრებები უჯ...ისა მაინც ხდებოდა თვეში სამ...და ოთხჯერ. დაარსებულია 3 ...ტ-წრე, რომლებსაც ხელმძღვა...ებას უწევენ რაიკომის მიერ გა...ული ამხანაგები.

...კომის მიერ იქნა აყვანილი აღ...ზედ მოჯამაგირეები, რომლე...

...ოკნოგმიური ცხოვრება

...ა.-კავკასიის საგარეო ვაჭრობა

...ეციული ბანკი საგარეო ვაჭ...ობისათვის.

...საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ...ა რწმუნებულის ინიციატივით ...ყო რამოდენიმე თათბირი საგა...ო ვაჭრობის საქმიანობისათვის ...ული რუსეთის კომერციული ...ბანკის ა.-კ. განყოფილების გახსნის ...ებებ თბილისში.

...ბირში სხვებთან ერთად მონა...ეობა მიიღეს რუს კომერციუ...ბანკის წარმომადგენელმა ამხ. ...ატუტმა და საგარეო ვაჭრო...ა. კომისარიატის წარმომად...ელმა ამხ. ივანინამ. საკითხი ბან...ის გახსნის შესახებ გადაწყდა და...ითად.

...ედართული ბარჯების ცხრილი.

...საგარეო ვაჭრობის სახ. კ-მის ...ენებულთა კოლეგიამ დაავალა ...ისიას, რომელშიაც შედიან ამხ. ...ტუნოვი, ოთაროვი, კარაპე...ი და ისაევი, შეადგინონ ა-კავ...ში ყველაზე მეტად გავრცელე...ი საიმპორტო და საექსპორტო ...ნელზე ზედ დართული ბარჯე...ტიპიური ცხრილი.

...ულება ა.-კ. საბჭოთა ორგა...ნოების შესახებ.

...ა. ფანიევმა შეიმუშავა დებულე...ა პროექტი საბჭოთა კავშირში და ...ერგრეთ არსებულ ა.-კ. საკავ...ორგანოების შესახებ. დებულე...ა პროექტი მოწონებულ იქნა. ამხ. ...ს წინადადება მიეცა პროექტს ...საბოლოო რედაქცია და გაგ...ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის ...ებში სახელმძღვანელოდ.

...ოლიტიკა

— **მუშების საჩივართა მისაღებად.** რათა მუშებს საშუალება მიეცეს თავისუფალ დროზე შეიტანონ საჩივრები უზენაეს სასამართლოში შრომის საქმეთა პროკურორთან, ინიშნება ზედმეტი მისაღები საათები სამშაბათობით საღამოს 5—7 ს. და კვირაობით 10—12 საათამდე. საჩივრების შეტანა შეიძლება შრომის სახალხო კომისარიატში (სპპიორის ქ. № 30, მესამე სართული).

— **2000 კილო ქინაქინა.** ა | კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა ა-კავკასიისათვის გერმანიაში შეუკვეთა 2000 კილო ქინაქინა.

— **40,000 ცელის შეძენა საზღვარგარეთ.** ა | კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელმა გერმანიაში შეიძინა ამიერ-კავკასიისათვის 40,000 ავსტრიული ცელი.

— **ელექტრო-სადგური.** უკვე შეუდგენ აჭარის წყალზე ჰიდრო-ელექტრო-სადგურის აგებას. საჭირო მასალები მზადდება აჭარის ლიმონის ...ამომსხმელ ქარხანაში.

— **ფოსტა-ტელეგრაფის ახალი ...ანყოფილებები.** ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კონსარიატმა სოფ. ბაშში და მუხიანში (ქუთ. მაზ.) გახსნა საფოსტო განყოფილებები.

— **ტრამვაის ნაწილების შეძენა.** თბილისის ტრამვაისთვის გერმანიაში შეძენილი იქნა საჭირო მასალა, რომელსაც ამ დღეებში მიიღებენ.

— **ხალიჩების გატანა საზღვარგარეთ.** ა | კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა ინგლისში სარეალიზაციოთ ...ატანა 412 ფუთი ა | კავკასიაში ...ამზადებული ხალიჩები.

— **მაზრაში საქონლ საქმის გამოკვლევა.** ქ. ჯამთელობის განყოფილება შეუდგა მაზრაში საქონლ საქმის გამოკვლევას. ამ მიზნით ადგილებზე მივლინებული არიან ინსტრუქტორები.

— **შრომის დაცვის განყოფილება** ამ დღეებში შეუდგება პოლიგრაფიულ წარმოების მუშების ჯანმრთელობის შემოწმებას და სტამბების დალაგიერებას, მათში სამუშაო პირობების გაუჯობესების მიზნით.

— **თამბაქოს გატანა.** ა | კ. გარეშე-ვაჭრობის კომისარიატმა სტამბოლში გასანაღდებლათ გაიტანა 40,000 ფუთი თამბაქო.

შაქარი. რუსეთიდან ოდესის გზით ბათომში მიღებულია ა | კ. ...ასიათვის 40 ვაგონი შაქარი რაფინადი.

— **ციებ-ცხელებასთან ბრძოლა.** ბათომის კომუნალურ მეურნეობამ ბათომის მიდამოებში ჭაობების ამოსაშრობად და ციებ-ცხელებასთან საბრძოლველათ გადასდო 32,000 მან,

— **დეზერტირის გასამართლება.** 21 აგვისტოს სამხ. რევტრიბუნალი გაარჩევს ცხენოსან ლეგიონის წით. ჩოლაშვრის დავით ჯიშუხაძის საქმეს დეზერტირობისათვის.

თბ. სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმში მისაღები გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს.

— **შაქარი პენსიონერთათვის.** ქ. თბილისის დამზღვევ სალაროს პენსიონერთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გაგეკონამ შეიძინა შაქარი პენსიონერთა და მათი ოჯახებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში დასარიგებლად. მსურველებს შეუძლიათ შაქრის შეძენა საზოგადოების კანტორაში (თეატრის შესახვევი № 4) სამშაბათს 19 და ოთხშაბსთს 20 აგვისტოს დილის 9 საათიდან 5 საათამდე.

შემოთხვევები

ს ა ნ ტ ა ჯ ი. 15 აგვისტოს, დილით ოქრო-მეგელის მირიმანოვის მაღაზიაში (სომხის ბაზარი № 13) შეეიდენ ორი უცნობი და მოითხოვეს ოქროს ნივთები საყიდლათ, მოხერხებულ დროს „მყიდველებმა" გაიტაცეს 15 ოქროს ბეჭედი და მიიმალნ.

— **შ ე ბ ყ რ ობ ა.** 15 აგვისტოს ღამის 11 საათზე 10 კომისარიატის რაიონში ...ოქ. გეორგი ვასილიშვილმა შეიპყრო ციმბ...ისხვ ბაბა...ეული, რომელსაც ალმოაჩინ...ნაქურდალი ნივთები.

— **ქ ურ დ ობ ა.** 15 აგვისტოს ახალ...ბერის ქ. № 28, გაქურდეს ზაქარია ბაბა...ვილის ბინა, წაიღეს 400 მან. ნივთები.

— ამავე დღეს საპირის ქ. № 6, გაქურდეს მსახიობ ლიდიმილა ერუანცევასის ბინა. წაიღებულია დაახლოებით 1,000 მან. ძვირფასი ნივთები.

— 15 აგვისტოს პასაჟეიჩის ქ. № 6, გაქურდეს ბერტა ლილიევის ბინა, წაიღებულია 200 მან. ნივთები.

...ალოვნება

საბჭოთა მუშაკების კლუბში.

პარასკევს, 15 აგვისტოს საბჭოთა მუშაკების კლუბთან არსებულმა ქართულმა დრამატიულმა დასმა (სახალხო სახლის დრამ. დასი) წარმოადგინა დრამა „ციმბალელი". პიესამ საზოგადოებაში ზოგიერთი საჯარიანი წყლიანი ...ა შეიტანა. კარგი იქნება კლუბის გამგეობა ...ბირად დასდგამდეს ასეთ პიესებს.

აღსანიშნავია ის, რომ კლუბში წესიერი არის დაცული. ბავშვების ხმაურობა ხელს ...ეშლიდა დამსწრე საზოგადოებას პიესა მოეკმინა.

კინო.

...ა...ბ. „კომუნისტი"-ს მუშაკორები „ზარია ...ოსტოკა"-ს სტამბაში

შაბათს, 16 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, გაზეთ „კომუნისტი"-ს „მუშათა ცხოვრების" განყოფილების კამგის ამხ. გ. მალაშხიას ხელმძღვანელობით გაიმართა ექსკურსია „კომუნისტი"-ს მუშაკორების გაზ. „ზარია ...ოსტოკა"-ს სტამბაში, სადაც იბეჭდება გაუმჯობესებული მანქანაზე ...ეგ. „კომუნისტი" და „ზარია ...ოსტოკა".

ექსკურსიამ პირველად დაათვალიერა ის განყოფილება, სადაც სწარმოებს გაზ. „კომუნისტი"-ს აწყობა-დაშლა და ყველა ის პროცედურა, რაც გაზეთის აწყობის გამზადებასთან არის დაკავშირებული.

ამხანაგი მუშკორები მეტად დაინტერესა სტამბის ტეხნიკურმა მოწყობილობამ.

ნაჩვენები იქნა აგრეთვე გაზეთის გვერდების წესრიგზე დაწყობის და მისი შეკვრის მხრეც. ასოების სათითოდ ლაშლა უჯრედებში და სხვა.

ექსკურსიამ დაათვალიერა თვით გაზ. „ზარია ...ოსტოკა"-ს ასოთ-საწყობი მანქანებიც, ეგრედ წოდებული „ლინოტიპი": მუშკორების მიერ ეს პირველი ნახვაა იმ საწყობი მანქანების, რომლებიც საბჭოთა კავშირში 17 წელზე მეტია, რაც ...ხმარებაშია.

თუ გაზეთ „კომუნისტ"-ს დღეს 24 ხელით ასოთ-ამწყობი ჰყავს, გაზ. „ზარია ...ოსტოკა"-ს სამაგიეროთ 8 მემანქანე ასოთ-ამწყობები აწყობენ ორ რიგად დაყოფილი და გაზეთიც ყოველდღიურათ ექვს-ექვსი გვერდი გამოდის.

მუშკორები შემდეგ შეივიდენ იმ განყოფილებაში, სადაც გაზ. „ზარია ...ოსტოკა"-ს გვერდებად შეკვრა სწარმოებს და იქ მომუშავე ამხანაგებმა და ამხ. უშანგი ჯაშმა, მუშაობის შესახებ ახსნა-განმარტება მისცეს მათ.

ამის შემდეგ მუშკორები გაეცარ...ონ იმ განყოფილების დასათვალიერებლად, სადაც გამზადებული გაზეთების გვერდების ყალიბები კეთდება; ეს განყოფილება არის ეგრედწოდებული „სტერეოტიპის" განყოფილება; სწორედ იმ დროს მივედით დასათვალიერებლად, როცა ამ განყოფილებაში გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა.

ნაჩვენები იქნა აგრეთვე ის მანქანა, რომლითაც გაზეთის გვერდებს დღეს გადამდნარ ლითონზე ასხამენ და მისი გაშალაშინება-გაწმენდის შემდეგ ამ გვერდებს საბეჭდავ საროტაციო მანქანაზე უშვებენ.

„როტაციონის" მემანქანემ ამხ. ლ. ხელაძემ აუხსნა მუშკორებს საროტაციო მანქანის მუშაობა, რომელიც ერთად-ერთია მთელ საბჭოთა საქართველოში. ეს მანქანა საათში იძლევა 7000 დაბეჭდილს დათვლილს, დაკეცილს და დაჭრილ გაზეთს მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი მანქანები ათასზე მეტს ვერ იძლევიან საათში, რაც იწვევდა გაზეთის მეტად დაგვიანებას და მკითხველს დროზე აღარ მოსდიოდა.

მუშკორები კმაყოფილი დაიშალნ ღამის 2 საათზე.

უ. ჯაში.

...ალოვნება

...ალოგიური მუშაობა თბილისის მაზრაში

თბილისის აღმასკომმა დაიწყო ინტენსიური საალაშენებლო მუშაობა თბილისის მაზრაში. ამ მიზნით მაზრა მოიარეს ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. სუხიშვილმა და ამხ. ვ. მესხმა.

უკანასკნელ დრამდე საქართველოს მაზრები და კერძოდ თბილისის მაზრა ვერ იჩენდა საკმაო ინიციატივას საბჭოთა აღშენებლობაში. ამიტომ ქალაქის აღმასკომთან ადმინისტრატიული აპარატის მოწყობის შემდეგ, თბილისის მაზრის სოფელი გამოცოცხლდა. სოფლად სწარმოებს ორგვარი მუშაობა ერთის მხრივ მაზრის ადმინისტრატიული დაყოფის გამო, სოფელი მოსახლეობის ხელისუფლებასთან დაახლოების მიზნით ეწყობა სასოფლო საბჭოები, (სასოფლო საბჭოების შესახებ დებულება უკვე გამოიმუშავა ქალაქის აღმასკომმა) მეორე მხრივ,—სწარმოებს მუშაობა სოფლის ეკონომიურად ასაღორძინებლად და მისი მეურნეობის გასაუჯობესებლად.

ფართე აგიტაციის შემდეგ, რომელიც ჩატარებულ იქნა საბჭოთა აღშენებლობის მიზნების შესახებ მაზრაში, შესაბამნეიად გაცხოველდა სოფლად მშრომელი გლეხების თვითმოქმედება. და მოკლე დროში ამ თვითმოქმედებამ გამოიღო რეალური ნაყოფი.

გარე-კახეთის რაიონში დაიწყო რაიონის ელექტროფიკაცია; უკვე გამოკვლეულია პუნქტები, სადაც უნდა მოეწყოს ელსადგურები მარტყოფის, საგარეჯოს და სართიჭალის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ზემოხსენებული სოფლების გლეხობა აწყობს ამხანაგობას, რომელნიც აგროვებენ საჭირო თანხას. მათ უკვე მოელაპარაკეს ცენტრალური რაიონის ელექტრო-ტრესტს, რომელმაც უნდა იკისროს ელექტრო - სადგურების აგება.

გვალვიანმა ზაფხულმა მეტად დაზარალა თბილისის მაზრის ყველა სოფლები. სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად უკვე დიიწყო ადგილების გამოკვლევა წყალსადენის გასაყვანად იმ მიზნით, რომ მომავალში შესაძლებელი გახდეს ყველა გვალვიანი ადგილების მორწყვა.

წალკის რაიონი შეუდგა გზების გაყვანას. დღემდე უგზოობის გამო არ ხარხდებოდა ამ რაიონის ქალაქთან ხშირი ურთიერთობა.

სოფ. მარტყოფში უკვე დამთავრდა საავადმყოფოს შენობის აგება. აქვე მოეწყო აგრედვე საექიმო პუნქტი.

სართიჭალის რაიონში შენდება საავადმყოფო—მთელი გარე-კახეთის

...როვინციაში

...ელვდლები მიწას ამჯობინებენ ზეცას

ზესტაფონის რაიონი (შორაპნის მაზრა)

8 აგვისტოს მოხდა ზესტაფონის რაიონის სამღვდელოების კრება, რომელსაც დაესწრო 25-მღვდელი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მღვდელი კოტე ანთაძე, მდივნათ მღვდელი ბიქტორ ბარათაშვილი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: 1) ინფორმაცია სრულიად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამატებითი მიწის კოდექსის მე-9-ე და მე-8-ე მუხლების შესახებ, (მიწით სარგებლობა რელიგიური კულტის მსახურთათვის) მოხსენების შემდეგ სამღვდელოებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: მოვისმინეთ რა მოხსენება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების მიწის კოდექსის მე-9-და მე-82 მუხლების შეფარდების შესახებ, ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი მღვდლები ზესტაფონის რაიონისა, აღვნიშნავთ, რომ მიწის მუშაობა საკუთარი შრომით არის საზიგადოებრივი სარგებლიანი შრომა და ჩვენც, გვსურს რა ვეწეოდეთ საზოგადოებრივ შრომას და ვიქნეთ მშრომელთა საზოგადოების წევრი, ხმამაღლა ვაცხადებთ საზოგადოების და მის ხელმძღვანელ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ ჩვენ ვსტოვებთ დღეიდან მღვდელთმოქმედებას. დღეიდან მიიალთ სოფლის გლეხებთან არა როგორც მღვდელი, არამედ როგორც გლეხი—მიწის მუშა. 1) ალექსი არდიშვილი, 2) მღვდელი ნიკოლოზ მაჩიტიძე, 3) მღ. ტრიფონ ცქიტიშვილი, 4) დეკ. როსანოზ გიორგაძე, 5) მღ. ბ. კელენჯერიძე, 6) მღ. დავით საყვარელიძე, 7) მღდ. კირილე ღამბაშიძე, 8) მღ. ვასილ ფერაძე, 9) მღ. მაქსიმე ბუმბაძე, 10) მღ. თადეოზ გველესიანი, 11) მღ. ირაკლი ბაკურაძე, 12) მღ. დავით შორგილაშვილი, 13) მღ. კონსტანტინე ბერაძე, 14) მღ. ბიქტორ ბარათაშვილი, 15) მთავარი ნიკოლოზ ბერეკაშვილი, 16) მღ. იაკობ გველესიანი, 17) მღ. კოტე ანთაძე, 18) მღ. ილია საყვარელიძე, 19) მღ. ნიკოლოზ ბარბაქაძე, 20) მღ. მაკარი გაზჩიჩილაძე, 21) მღ. კასიონ გაზჩიჩილაძე, 22) მღ. ილარიონ სალაძე, 23) მღ. ვასილ გორგაძე, 24) კოსტანტინე ხუსკიკაძე.

ვნახოთ თუ როგორ შეასრულებენ თავის დაპირებას ზემოხსენებული პირნი!

ს. ცუცქირიძე.

წყალსადენის საჭიროება სილნაღის მაზრაში

ადვილად, წარმოიდგენთ, თუ რა სასოწარკვეთილებაში ჩაადგა წელს გვალვამ ისეთადაც უწყალო ქიზიყი. პატარა წყაროება დაშრა და მრავალი სოფელი განიცდის უწყლობას. 6 და 4 ვერსის მანძილიდან ეზიდებიან სასმელ წყალს.

ამ ნიადაგზე გაჩნდა მასიური გადასახლება მცხოვრებლებისა უწყლო სოფლებიდან. ასეთი სურათის ვხედავთ დღეს შირაქის რაიონში მდებარე სოფლებში.

აქედან თავისთავად იგულისხმება, თუ როგორი უნდა იყოს ახლო მომავალში ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის გეზი. მე რომ მკითხოთ, ყველაფერს უნდა ამჯამად თავი დავანებოთ: თეატრებს, სახალხო სახლებს, ელექტროფიკაციას, და მთელის ძალღონით, მთელის შემძლებლობით, დარტყმითი წესით უნდა შეეუდგეთ წყაროებისა და სარწყავ არხების გაყვანას.

ალაზანი და იორი აუარებელ წყალს მიაქანებენ კასპის ზღვაში და მაზრას მათგან არავითარი სარგებლობა არ აქვს.

ამ დღეებში სოფ. საქობომ დაასრულა თავისი წყალსადენის გაყვანა და დიდის ზეიმით გადაიხადა წყალსადენის გახსნა.

შეფოგების მუშაობა ახალქალაქის რაიონში

ახალქალაქის რაიონი შესდგება დაახლოვებით 80 სოფლიდან.

ქალაქის მუშებს შეფობა აქვთ აღებული ამ რაიონის შემდეგ სოფლებზე: 1) თვით ახალქალაქზედ (სოფ. ახალქალაქში ირიცხება 550 კომლი და 2070 სული)—შეეი ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელიც ეხმარება კულტურულად ამ სოფელს: უშენებს კლუბს, აქვთ ხშირი წარმომადგენლობა კრებებით, მიტინგებით და სხვა აზეკარი დახმარებით.

2) სოფელი ნოსტეზე და ახალციხეზე (260 კომლი—1330 სული) არის შეფად თბილისის მბეჭდავთა კავშირი, რომელიც უგზავნის სოფელს გაზეთებს, აქვთ ურთიერთობა კრებებით, მიტინგებით და სხვა ახსნა-განმარტებით.

3) სოფელი მეტეხი (შესდგება 500 კომლ.—2500 სულისაგან) აქვს შეფად აღებული მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი. ეს შეფი კოტად მოისუსტებს თავისი წარმომადგენლების გამოგზავნაში. სოფელს დაეხმარა შემდეგით: მისცა 50 ფ. ნავთი, 80 არშ. ფართლეულობა, უგზავნის გაზეთებს და ჟურნალებს და სამოსწავლო ნივთებს სკოლისთვის.

4) სოფ. ხოფლეზე (შესდგება 570 კომლი. 2600 სული.) შეფობა აქვს გებული ა | კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატს. უკანასკნელმა გაუხსნა სოფელს სამკითხველო, მოუტანა გლეხობას გუთანი, უგზავნის გაზეთებს და სამოსწავლო ნივთებს.

5) სოფ. ქვემო-ბომი შესდგება 230 კომლისაგან (დაახლ. 900 სულ.) ამ სოფელზე შეფად არის ა | კ. რკინის გზის სტამბა, რომელმაც გაუწია დახმარება სოფელს სამოსწავლო ნივთების მიწოდებით.

6) სოფ. ზემო-ხანდაკი (შესდგება 235 კომლ. სულთა რიცხვი უდრის 1215) ამ სოფელზე შეფობენ ზაჰესის მუშები. მათი დახმარება გამოიხატება შემდეგში: უგზავნიან ჟურნალ-გაზეთებს, ხშირად დადიან და მართავენ წარმოდგენებს, აწყობენ სხვა და სხვა საუბრებს.

7) სოფ. სასირეთზე, ყარაღაჯზე და ბარნაბიანთ კარზე, რომლებიც შესდგება 430 მოსახლეობით და 2430 სულისაგან, აღებული აქვს შეფობა საქ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატს (გრუზგოსტორგს). ეს შეფი უწევს ამ სოფელს დახმარებას შემდეგნაირად: ეხმარება ეკონომიურად, მოაქვს ქალაქის ნაწარმოები და ფართლეულობა იაფ ფასებში.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ქალაქის მუშები პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას და ამბ. ლენინის ანდერძს. ამასთან უნდა აღინიშნოს ადგილობრივ ხელისუფლების ნაკლი, რომელიც გამოიხატება შემდეგში: დაბა ახალქალაქში, რომლის შეფია ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი, შენდება უკანასკნელის თანხით და თაანსონით კლუბი და 1000 მანეთამდე თანხაც არის გადადებული მის მიერ, რომელიც ინახება გორის მაზრის კომუნალურ განყ—ში. კლუბის აშენება დაწყებული უკვე დიდიხანია, მაგრამ დღეს სანერკველზე ზეკთ კლუბმა ვერ აიწია. ამაში გორი არ სტყუის, ვინაიდან ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ უკანასკნელმა ვერ შესძლო ამის შესრულება და უკვე ექვსი თვეა, რაც ეს საქმე შეჩერებულია. ამაზე ადგილობრივ ხელისუფლების ახალ შემადგენლობას ჰქონდა თათბირი, თანადასწრებით შეფების წარმომადგენლებისა—ამხ. ხოშტარიასი და ალექსანდრიასი, რომლებმაც გაგვაცნო ყოველივე დაწერილებით. აღინიშნეს ძველი ნაშენობის ნაკლი და შეადგინეს ახალი მუშაობის გეგმა.

ეპ. სიაბაშვილი.

მუშათა ცხოვრებიდან

მუშათა ცენტრალურ კლუბს გაჯანსაღება სჭირია

რამდენათ მუშათა ცენტრალური კლუბი შარშან ზაფხულში ნაყოფიერათ მუშაობდა, იმდენათ წრეულს დაეცა მუშაობა. რაშია საქმე? ხსენებულ კლუბში მუშები იშვიათად დაიარებიან იმიტომ, რომ სიმფონიურ კონცერტების გარდა, თითქმის არაფერი იმართება; სიმფონიაზე კი ეს წერება ბევრი არამუშური ელემენტი, სახელდობრ მოხელეობა, მოარშიყე ახალგაზრდობა და „ნეპაჩები“, რომელთაც დისონანსი შეაქვთ მუშათა კლუბის აუდიტორიაში.

სიმფონიურ კონცერტებს მხოლოდ შარშან ექნება ფნიშვნელობა მუშათა კლუბში, როდესაც იგი გასაგები იქნება მუშისათვის, როდესაც იგი მისთვის ხელმისაწვდომი იქნება. ამ ზაფხულ. კლუბში შეიოლებული იყო სეზონის ბილეთების სისტემა, ჯამაგირის მიხედვით ახდევინებენ 3,4 მანეთს სიმფონიაზე შესასვლელი ფასი 20 კაპ. —პროფ-კავშირის წევრთათვის და 50 კაპ. გარეშეთათვის. ცხადია, რომ მუშის ჯიბე ვერ შესძლებს 3,4 მანეთის გადახდას, ყოველ დღიურათ კ ფასის გადახდა 20 კ. ეძნელებათ მაგ. კვირაში ერთხელ იმართება კინო, მაგრამ სურათები ღირსშესანიშნავი არ იჩვენება. საერთოთ კლუბს მუშური ელფერი ნაკლებად სდევს. საჭიროა, რომ სიმფონიურ კონცერტებთან პარალელურათ იმართებოდეს სახალხო კონცერტები—პატარა მოხსენებებით ხელოვნების დარგიდან, მუშებისთვის ფასები სიმფონიაზე უნდა დავიდეს 5 ან 10 კაპ. გარეშესათვის 1 მან. საჭიროა ხალხური წარმოდგენების მოწყობა, რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე. თვით-მოქმედების საღამოების გამართვა შინაარსიანი ლექციებით, მოხსენებებით, გასამართლების და ინცენიროვკების ორგანიზაცია, ბაღში უნდა მოეწყოს საბავშვო ბაღანა—სათანადო გასართობებით. საჭიროა შიგა და შიგ უფასო წარმოდგენების მოწყობა და ქარხანა-სახელოსნოს მუშებთან კავშირის დაჭერა გამგეობის წევრთა საშუალებით. აუცილებლათ უნდა მოწესრიგდეს კლუბის ბუფეტი, რომელიც მიუწდომელია მუშისათვის. სასურველია კლუბის წევრთა ჩარეცა საერთო კლუბის კულტურულ მუშაობაში, კლუბის გამგისა და გამგეობის შორის უნდა იყოს სრული სოლიდარობა მუშაობაში. მხოლოთ ასეთი მუშაობით შეიძლება კლუბში მუშების ნახვა და აუდიტორიის შექმნა, თორემ დღევანდელი კლუბის პროგრამა ვერ აკმაყოფილებს ფართე მშრომელ მასას.

მუშკორი მელითონე.

მოგვაშორეთ ასეთი ქალები

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

საზიზღრობაა მამაკაცის სიმთვრალე, მაგრამ ქალის ლოთობა—ეს აუტანელია, კურგანოვის შესახვევში № 37 სცხოვრობს 36 მუშის მშვიდი ოჯახი, მხოლოდ ამ სიმშვიდეს „არღვევენ ამ სახლშიე მცხოვრები ორი ქალი: ვარვარა სტრელცოვი და ელენა (ქმარგაშვებული ქალებია). ეს ორი გახრწნილი ქალი არ ასვენებს ამ სახლის მცხოვრებლებს თავის ქცევით და ლოთობით. მოჰყავთ ათასი სხვა და სხვა სტუმრები („კალერები“), ითრობიან, კივიან და ყოფილა ასეთი მაგალითებიც, რომ მთვრალი სტრელცოვა ვ. შეუვარდა ბავშვებიან ქვრივ ქალს და დაუწყო ცემა. ასტყდა ბავშვების საშინელი ტირილი და მხოლოდ ხალხის მიშველების საშუალებით გამოგლიჯეს ხელიდან საწყალი ქალი. მოსულმა მილიციონერმა შეაყენა ოქმი და მთვრალი გალეშილი ქალები თავიანთ „კავალრებით“ წაიყვანეს კომისარიატში. ასეთი ამბები ძალიან ხშირია. მუშები საშინლად აღელვებულნი არიან და მოითხოვენ, რათა ეს ორი ზნეგაფუჭებული ქალი დაუყოვნებლივ იყვნენ გადასახლებული ამ უბნიდან.

მუშკორი მესხეთელი.

საბჭოთა ზღვების მილება

(11 სამილიციო უბნის საყურადღებოდ).

ახალ პროექტირის ქუჩიდან დაწყებული ზევით ღამე არც მორიგე მილიციელი სდგას და არც მორიგე ეზოვე. ღამე მიდის ადამიანი და ეშინიან, რომ არავინ დაეცეს და არ ეახლოს ვინმემ ტანისამოსი. ეს უბანი განსაკუთრებით მუშურია და საჭიროა, რომ მუშა თავის ოჯახით უზრუნველყოფილ იყვეს უსიამოვნებისაგან.

საჭიროა მილიციონერის და ზეეზოვეების მორიგეობა, თორემ ბნელი ქალები ისარგებლებენ მომენტით და მუშა-ხალხს აწიოკებენ ღამე საჭიროა განათება და მორიგის ყოფნა.

ინფორ. მელითონე.

ლენინის კუთხის საზეიმო გახსნა

პარასკევს, 15 აგვისტოს მოხდა მე-6 უბნის საგზაო სამსახურის მუშათა „ლენინის კუთხის“ საზეიმო გახსნა.

საღამოს 6 საათზე უბნის ყველა ჰუშებმა თავი მოიყარეს იქვე არსებულ კლუბში. საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. სარდლიშვილმა (მე-6-ე უბნის საგზაო სამსახურის მუშათა ადგილკომის თავმჯდომარეა). მან მიულოცა მუშებს ამ ბრწყინვალე საქმის ღირეული დაგვირგვინება.

შემდეგ მიესალმენ მუშებს: ამხ. ქავთარაძე (ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე), ამხ. გუგულდავა (ტფ. საუბნო კომიტეტის სახელით), ამხ. სტრეპეტოვი, აზრუმელაშვილი და სხვ.

ყველა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს „ლენინის კუთხის“ დიდი კულტურული დანიშნულება, გაარკვიეს მისი მნიშვნელობა მუშათა ფართო მასსებისათვის.

თვითეულ ორატორის სიტყვას სწყვეტდა ორკესტრი „ინტერნაციონალი“-თ. შემდეგ გაიმართა მუშებისათვის უფასო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა გ. ხეჩუაშვილის პიესა „მუშა სტამბაში“. პიესა ლამაზად ჩატარდა „კომუნისტი“-ს მუშკორის ამხ. უმბრიეგის ხელმძღვანელობით და დამსწრე მუშებიც კმაყოფილნი დარჩენ.

რაც შეეხება თვით „ლენინის კუთხე“-ს, იგი ფრიად ლამაზად მოწყობილია. წითელი მაუდით მორთულ კედელთან სდგას ლენინის, მარქსისა და რ. ლიუქსემბურგის ქანდაკებები. არის მრავალი წიგნები ლენინზე და ლენინიზმზე.

ოთახი მორთულია რევოლიუციის ყველა ბელადების სურათებით. „კუთხი“-ს წინ გაშენებულია მშვენიერი ბაღი, რომლის შუა გულში ამართულია ამხ. ლენინის ძეგლი.

კმაყოფილი მუშები 10 საათზე დაიშალენ.

ინფ. ა—ძე.

საზიზღარი სურათი

(მილიციის სამმართველოს საყურადღებოდ)

ნუ თუ ქალმა და მამაკაცმა ისე უნდა აიღოს ხელი თავის თავზე, რომ ჩაიდინოს ასეთი საზიზღარი საქმე, როგორიც იყო ალექსანდრეს ბაღში 16 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. „სკამეიკაზე“ ვიღაც ქალი გადაწოლილიყო მამაკაცის მუხლზე და ერთმანეთს „ეალერსებოდნენ“. ისინი თითქოს არა ხედავდნენ იქვე მოსეირნე ხალხს. ბოლოს მათ შეუერთდა კიდევ ორი მთვრალი კაცი ბოთლებით ხელში და უნდოდათ წაეყვანათ ეს ქალი. ქალმა ასტეხა კივილი, მოგროდა ხალხი და ჩაერიენენ მათ გასაშველებლად. თითქმის ნახევარი საათი გაგრძელდა ეს აური-ზაური და არსად სჩანდა მილიციონერი, რომ მოესპო ეს უსიამოვნო ამბავი. მხოლოდ კომკავშირელების საშუალებით შეიპყრეს და წაიყვანეს კომისარიატში. ასეთს სურათს ღამითაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, არამც თუ დღით. მილიციაც საჭიროა შენი ფხიზელი ყურადღება, თორემ ასეთს სურათს ხშირად კაცის მკვლელობაც მოჰყვება ხოლმე.

ნ. სოსელია.

რკინისგზელ ქალთა ფორის

— **პროფმოძრაობა და ქალები.** ა. | კ. რკ. გზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურე ქალთა საერთო კრებაზე ამ დღეებში ლექცია წაიკითხა ამხ. ცილიკიმ შემდეგ თემაზე „ქალი და პროფმოძრაობა“. ასეთი ლექციები განზრახულია მომავალშიც.

— **რკ. გზის საავადმყოფოში.** რკინისგზელ ქალთა ლენინის რაიკომმა თბ. რკ. გზის საავადმყოფოში მუშა-მოსამსახურე ქალთა ორგანიზაციის მოსაწესრიგებლად დაინიშნა ერთი ორგანიზატორი—ქალი.

— **ექსკურსია.** ამ დღეებში გავიდა რკინისგზელ ქალთა ექსკურსიის ბორჯომ-ბაკურიანისაკენ, რომელშიაც მონაწილეობს 62 ქალი.

— **უბარეთ ქალთა კონფერენციები.** ლენინის რაიკომის დადგენილებით ლენინის რაიონის ყველა ქალთა განყოფილებებში ტარდება ქალთა კონფერენციები.

— **ქალთა ორგანიზაციისათვის.** სოფ. ძეგვის საბჭომ გადასცა ბინა ძეგვის ქალთა განყოფილებას ორგანიზაციის მოსაწყობად.

— **ორჯერ კვირაში.** რკინისგზელ ქალთა ლენინის რაიკომმა დაადგინა ქალთა საზოგადო კრებები ყველა ორგანიზაციებში ეწყობოდეს კვირაში 2-ჯერ.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **პენსიონერების გადარჩენა.** ა. | კ. დამზ. სალარომ დაადგინა ყველა პენსიონერების საყურადღებოდ, რომ ამიერიდან ყოველგვარი ცნობებისა და დახმარებების გაცემა იწარმოებს საუბნო დამზღ. სალაროებში.

— **ბინის გადიდება.** თბ. საუბ. პროფკავშირმა თავის შენობაში გადასცა თბ. საუბ. დამზღ. სალაროს კიდევ ერთი ოთახი თავის შენობაში.

— **შენობის შეკეთება.** სწარმოებს და ამ დღეებში დასრულდება თბ საუბ. პროფკავშირის შენობის შეკეთება.

— **29 ადგილი.** თბ. საუბ. პროფკავშირთან არსებული განმანაწილებელი კომისია გზავნის 29 მუშა-მოსამსახურეებს ბორჯომის, წაღვერის და მცხეთის დასასვენებელ სახლებში.

— **3 კაცი ახტალაში.** იმავე კომისიამ ახტალაში 3 თავისუფალ ადგილზე გაგზავნა 3 კაცი.

— **კედლის გაზეთი.** აგვისტოს ბოლო რიცხვებში სად. ნავთლუღის ადგილკომი სცემს ყოველთვიურ კედლის გაზეთს „ეხი“-ს სახელ-წოდებით.

— **სახელმწიფო დაზღვევა** კონდუქტორთა სადელეგატო კრებამ ერთხმად დაადგინა შევიდეს სახელმწიფო დაზღვევის რიგებში.

— **კონდუქტორ-დამრიგებლები.** მოძრაობის ზოლის კონდუქტორების სადელეგატო კრებამ დაადგინა კონდუქტორთა ბრიგადაში გადარიცხვა მახლოლის-კონდუქტორ-დამრიგებლებისა.

— **ცემის დათვალიერება.** თბ. საუბ. პროფკავშირთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა ცემის სანატორიუმი. მათი გამორკვევით, ავადმყოფ-რკინის-გზელების მდგომარეობა ფრიად დამაკმაყოფილებელია.

— **განათლებისა და ტეხნიკური საქმიანობის ასამაღლებლად.** ა. | კ. რკ. გზის ტეხნიკოს-პრაქტიკანტების კრებამ აირჩია ბიურო 5 კაცის შემადგენლობით, რომელიც იზრუნვებს განათლების და ტეხნიკურ საქმიანობის ასაწევად.

— **წგნთსაცავი – სამკითხველო.** სად. მცხეთის ადგილკომმა მოსთხოვა საჭირო დახმარება ა. | კ. რკ. გზ. პროფკავშირის კულტ-განყოფილებას იზრუნოს—სად. მცხეთაში წგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნისათვის.

— **ლენინის კუთხე.**—რკ. გზ. პროფგანათლების განყოფილებამ თბილისში საუბ. პროფკავშირის შენობაში დაასრულა „ლენინის კუთხ“-ის მოწესრიგების საქმე.

1-ლ სექტემბერს მოხდება მისი საზეიმო გახსნა.

— **კაპიტალური შეკეთება.** „ბაკტპო“-მ დაასრულა თბილისში არსებულ პურის გასასყიდ დუქნების კაპიტალური შეკეთება.

— **კურსანტების დათხოვნა.** „დორ-პროფორტ“-მა დაადგინა დაითხოვოს კურსანტები ორი კვირით, ძლიერი სიცხეების გამო. მეცადინეობა განახლდება 1-ლ სექტემბერს.

— **პურის გასასყიდი** პუნქტები. „ზაკტპო“-ოს განზრახავა აქვს მოაწყოს პურის გასასყიდი პუნქტები ბლეხანოვის და მოლოკანის ქუჩებზე.

ინფ. ა—ძე.

სეფიეთის თემი (სენაკის მაზრა)

სეფიეთი პატარა სოფელია; გი შეიცავს 370 კომლს, ანუ 1800 მცხოვრებს. სოფელი საერთოდ ღარიბია, მაგრამ განახლებული ცხოვრება იძლევა ეკონომიურად მოღონიერების იმედებს.

განათლების საქმით სოფლის მშრომელი გლეხობა ძლიერ დაინტერესებულია.

სოფელი აშენებს ორსართულიან ქვიტკირის სასკოლო შენობას, რომლის დამთავრება მოხდება მომავალ სამოსწავლო წლისათვის.

სოფელს აქვს აგრეთვე კლუბი, სადაც ხშირად იდგმება უფასო თუ ფასიანი წარმოდგენები, იკითხება ლექციები, მოხსენებები და სხვა.

19 ივლისს სოფელმა გამართა საღამო-ალეგრით, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდო „რემედასს“-ის, ადგილობრივ ღარიბ ქოხ-სამკითხველოსა და გლეხკომის სასარგებლოდ, საღამო სასურველად ჩატარდა... უკ. რავდა ახალ-აბაშიდან გამოწვეული მუსიკა, „რომელიც სრულიად არ იყო დამაკმაყოფილებელი და უფრო წაგავდა დამტვრეულ „ტაშტის“ ყლაურუნს.

საღამოზე დამსწრე მოქალაქეების მიერ ადგილობრივ სამკითხველოს სარგებლოდ გამოწერილ იქნა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, რისთვისაც საღამოს მომწყობი კომისია, სეფიეთის მშრომელი გლეხობის სახით, უცხადებს მათ თავის გულითად მადლობას.

აქვე მოგვყავს სია იმ პირთა, რომლებმაც გამოუწერეს სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთები:

1) რაიპარტკომის ჯ. მგ. მდ. ამხ. ნოე საბაშვილი, ჟურნ. „დროშა“—3 თვით, 2) ლაბარტყავა პლატონ,—„მიწის მუშა“ ერთი წლით, 3) გვაჯია ისიდორე, „მუშა“—ერთი წლით, 4) სიგუა სერგო და კეკელია პოლოა, ჟურ. „На путях к новой жизни“ 6 თვით, 5) ა.-კ. კ—რი. „კომუნისტი“—ერთი თვით, 6) იაგორა ბაღათურია,—„Заря Востока“—6 თვით, 7) რაფდენ მელია,—„კომუნისტი“—1 თვით, 8) სილივან რურუა, „Известия“—6 თვით, 9) ათანასი ხურცილავა და მიხა ოჩიგავა—„Правда“—3 თვით.

სან—ლასი.

ცივის ხიდი ს. ზანაში

ახალ-სენაკის რაიაღმასკომის ინიციატორობით მდ. ცივზე კეთდება საუცხოო ხიდი. მუშაობა სწარმოებს აპრილიდან და დამთავრდება მოკლე ხანში. საჭირო ხის მასალებს ს. ზანა იღებს, ხოლო ოსტატები და სხვა მასალები სამაღმასკომის ანგარიშზეა.

ხსენებულ სოფლის გლეხობის მონდომება ხიდის გაკეთებაში მოსაწონი და მისაბაძია.

ეს ხიდი საშუალებას აძლევს სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილს დაუახლოვდეს ქ. ახალ-სენაკის ბაზარს.

ფონი.

ანანურის თემი (დუშეთის მაზრა)

ანანური დუშეთიდან დაშორებულია 16 ვერსით; თემი აერთიანებს 44 სოფელს და არსებობს 4 დაბალსაფეხურიანი სკოლა. არის სოფლები, რომლებიც თხოულობენ სკოლების გახსნას, მაგრამ, როდესაც გაიგებენ, რომ სკოლის მთელი მოწყობილობა (პარტები, დაფები და სხვა) თვით სოფელმა თავის ხარჯით უნდა შეიძინოს, მაშინ უკან იხევენ, ვანაიდან ყველა ამეების შეძენა

I. მუხურა (შორაპნის მაზრა)

არაფერი კულტურული დაწესებულება ამ სოფელში არ არსებობს, არის მხოლოდ ერთ ძველებურ ქოხში მოთავსებული 2 კლასიანი სასწავლელი. მუხურის თემში სცხოვრობს დაახლოვებით რვასი კომლი და ასეთი სასწავლებელი ოთხიც რო იყოს, მაინც საკმარია.

20 ივლისს მუხურაში უნდა დაედგათ ჩხარის დასის დახმარებით: 1) იასონის გასაჩირი 2) უბედური დეპიუტი, 3) დილამდის სიცილი. უნდა სიმართლე ითქვას, რომ ასეთი მაღალფასიანი ბილეთებით 1 მანეთიდან 25 კაპიკამდე პირველად წარმოდგენის გამართვა ამ ლატაკ სოფელში ყოველად დაუშვებელია იმ დროს, როცა ქალაქის თეატრებში 50 კაპ. ზევით ბილეთი არ არის. ამ ლატაკ სოფელში მანეთიან ბილეთებს გზავნის ჩხარის დასი თუ რაიაღმასკომი, კარგად არ ვიცი, მაგრამ სულ ერთია, ასეთი მოპყრობა მაინც დაუშვებელია, ვისგანაც არ უნდა იყოს. კარგია თემის თავმჯდომარე ფხიზლათ შეხვდა ამ საქციელს და მანეთიანი ბილეთები შეაჩერა, ნაკლებიანები გაყიდა, მაგრამ მაინც ფუჭათ ჩაიარა.

ხალხი სხვადასხვა კუთხიდან მოგროვდა წარმოდგენის სანახავათ. მიგა და შიგ შეიმჩნევდით მოხუცებულებს. ერთმა მათგანმა კიდეც მითხრა; რას მოვეყვარი: მუხურაში წირვაზე წასვლის მაგიერ წარმოდგენაზე მივდიავარო, ეს სიტყვები ისეთი კილოთი მითხრა, რომ გეგონებოდათ

მისაბაძი მაგალითი

დ. სუფსა (გურია)

ამ ერთი წლის წინათ სუფსის საზოგადოებამ გადასწყვიტა აეგო სუფსაში სახალხო სახლი, რისთვისაც მან ისარგებლა თემის კუთვნილი ერთი სახლით და ერთი ეკლესიით. ამ სიმპატიურ საქმეს სათავეში ჩაუდგა სუფსის აღმასკომი, რომელმაც ენერგიულათ მოჰკიდა ხელი მუშაობას. არავითარი საზოგადობის თვითდაბეგვრა არ მომხდარა ამ საქმის გარშემო. სახლი შენდებოდა კერძო შემოწირულებით, წარმოდგენა საღამოს გამართვით და სხვა. ამ რადიდ ცოდვას სჩადისო. მაგრამ, დახეთ უბედურებას, დასის მიერ კაცი მოვიდა და შეგვატყობინა, დღეს ვეღარ მოვდიავართ ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო. მოტყუებული ხალხი დაღონებული დაიშალა. რაიაღმასკომო, გამოასწორე ასეთი შეცდომები.

ამ სოფელში ქურდ ბაცაცობასაც ჰქონია შემთხვევა. ძველი ნაძირალები, რომლებსაც არ აშენებთ ციხე, სადაც თვეობით და წლობითაც იმყოფებიან, მაინც თავიანთ ხელობას არ იშლიან. ერთი მათგანი გვარათ „აბესაძე“ ეხლაც დაჭერილი ბძანდება ქურდობისა და ძარცვა-გლეჯისათვის. მას ჰყოლია რამდენიმე ხელის შემწყობი სოფლად, რომელთაც სახლში აღმოსჩენიათ სხვადასხვა ნაქურდალი ნივთები. დაუჭერიათ დაუკითხავათ და ვიღაცას წყალობით გაუშვიათ. ხალხი მათ პირდაპირ ვერას უბედავენ ეშინიანთ თავზედ ხელაღებული მძარცველების. ერთმა გლეხმა ძლივს გაბედა ჩემთან რამდენიმეთ მათი საგმირო საქციელის გამომეცხადებინა. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება ქურდ-ბაცაცობის აღმოსაფხვრელათ.

სხვათა შორის ერთ კარგ ჩვეულებას გაუდგამს ფეხი ამ სოფელში,—ეს არის კოლექტიურად ყანების დამუშავება.

მუხურელი.

ტ. მ ა ნ ა (ბორჯომის მაზრა)

ეს ადგილი ბორჯომიდან 15 ვერსიაა. ეს ადგილი ბორჯომ-ბაკურიანის ბილიკზე